## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 01 08 | მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ადმინისტრაცია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 77 000 | 77 000 | 80 000 | 80 000 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება-გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით. |
| პროგრამის აღწერა | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის № 319 დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროებში. გადამზადების პროცესი შედგება სამი ეტაპისაგან: მოსამზადებელი ეტაპი, გადამზადების ეტაპი და შედეგების მონიტორინგი. გადამზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი აქტივობები: 1. ტრენინგ-საჭიროებათა კვლევა (ანკეტირება); 2. მიღებული მონაცემების ანალიზი, სისტემატიზაცია, ერთიანი ბაზის ფორმირება, პრიორიტეტული მოდულების იდენტიფიცირება; 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი წლის გეგმის განხორციელება; 4. მიმდინარე პროცესისა და შედეგების მონიტორინგი-შეფასება. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | პროგრამაში ჩართული საჯარო მოხელეების რაოდენობა | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 10% - დასაქმებულთა გადატვირთული სამუშაო გრაფიკი |